აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 14

07 აგვისტო 2008 წელი ქ. ბათუმი

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტის, 29-ე მუხლისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ანაზღაურებული იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში, 2008 წლის 4 აგვისტოდან სამი თვის განმავლობაში გაწეული არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ყოველთვიურად, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უსკო-ს აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია